სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი #1

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში Master's Program in Economics at International School of Economics at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (ISET). www.iset.ge
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ეკონომიკის მაგისტრი Master of Economics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან. იმის გამო, რომ პროფესორებს შორის უმრავლესობა უცხოელია, მთელი სასწავლო წელი დაყოფილია 5 მინისემესტრად. თითოეული მინისემესტრის ხანგრძლივობაა 8 კვირა. სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი დაყოფილია 3 მინი-სემესტრად, ხოლო გაზაფხულის სემესტრი კი 2 მინისემესტრად. პროგრამის დაწვრილებითი სტრუქტურა მოცემულია დანართ 1–ში ფორმა 1-ის სახით. უფრო კონკრეტულად კი: **<u>პირველი წელი (I-V მინისემესტრი):</u>** პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პირველი წლის საგნები ყველა სავალდებულოა და კრედიტების ჯამი შეადგენს 60 ECTS.) მიკროეკონომიკა I, მიკროეკონომიკა II, მიკროეკონომიკა III, მიკროეკონომიკა IV, მიკროეკონომიკა V - **ჯამში 15 კრედიტი**) მაკროეკონომიკა I, მაკროეკონომიკა II, მაკროეკონომიკა III, მაკროეკონომიკა IV, მაკროეკონომიკა V - **ჯამში15 კრედიტი**) მათემატიკა ეკონომისტებისათვის I, მათემატიკა ეკონომისტებისათვის II, მათემატიკა ეკონომისტებისათვის III, მათემატიკა ეკონომისტებისათვის IV - **ჯამში 12 კრედიტი**) სტატისტიკა I, სტატისტიკა II, ეკონომეტრიკა I, ეკონომეტრიკა II - **ჯამში 12 კრედიტი**) აკადემიური წერა I, აკადემიური წერა II, აკადემიური წერა III - **ჯამში 6 კრედიტი** სულ წლის განმავლობაში: 60 ECTS კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო საზაფხულო სტაჟირებას კრედიტების მიღების გარეშე.

	<u>მეორე წელი (VI-X მინისემესტრი):</u> (სავალდებულო და არჩევითი საგნები): სტუდენტმა მე-2 სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს ჯამში 60 ECTS კრედიტი: აქედან 12 ECTS კრედიტი მოდის სავალდებულო საგნებზე, 33 ECTS - სხვადასხვა არჩევით საგანზე, ხოლო 15 ECTS - სამაგისტრო ნაშრომზე. მეორე სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს აქვს საშუალება გაიღრმავოს ცოდნა ენერგეტიკის ეკონომიკის, ეკონომიკური თეორიის, ინკლუზიური ზრდის, მაკროეკონომიკის პოლიტიკისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით. შესაბამისად სტუდენტებს აქვთ არჩევითი კურსების ფართო სპექტრი. კრედიტთა საერთო რაოდენობა ორი სასწავლო წლის მანძილზე 120 ECTS -ია.
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	მუჰამედ ასალი, ეკონომიკის დოქტორი, Columbia University
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ ბაკალავრის ხარისხის ფლობა ნებისმიერი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლიდან; ➢ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება; ➢ მათემატიკასა და ინგლისურში (B2 დონეზე) შიდა მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარება; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატების/ უცხოელი აპლიკანტების თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა, რაც იზომება აპლიკანტის მოტივაციის მიხედვით. ➢ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა სთავაზობს მოსამზადებელ კურსს მათემატიკაში შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე. ინგლისურსა და მათემატიკაში საგამოცდო საკითხების ვარიანტები შესაძლებელია იხილოთ დანართ 2-ში, ასევე ISET-ის <u>ვებ-გვერდზე:</u>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	• მაღალკვალიფიციური ეკონომისტების აღზრდა, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ეკონომიკის თანამედროვე თეორიის, მეთოდებისა და პრაქტიკის ცოდნით;

	● ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმართვა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესების შესაბამისად; ● ეკონომიკის სწავლებისადმი ახალი მიდგომების, ეკონომიკური კვლევების, ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვა საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე (სამხრეთი კავკასიის რეგიონში) ● სადოქტორო დონეზე სწავლის გაგრძელებისათვის და აკადემიური კვლევის წარმოებისათვის აუცილებელი ბაზის შექმნა
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:	1. სიღრმისეულად აღწეროს თანამედროვე და კლასიკური ეკონომიკური თეორიების ფუნდამენტური კონცეფციები; 2. ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ოპტიმალური მეთოდების კლასიფიცირება; 3. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საერთაშორისო გამოცდილების შეფასება სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის ხელშეწყობის მიზნით;
ბ) უნარები სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:	4. მულტიდისციპლინური მიდგომებითა და ინოვაციური მოდელების გამოყენებით პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა; 5. ინდივიდუალურ და გუნდურ დონეზე სტრატეგიულად დაგეგმვის და წარმართვის პროცესის მართვა; 6. რეალურ სიტუაციებში მოქმედი მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით მოცემული ინფორმაციის სიღრმისული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; 7. მშობლიურ და უცხო ენაზე პრეზენტაციებისა და დისკუსიების წარმართვა;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:	8. საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; 9. მაღალი ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასების საშუალებით, მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; 10. უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის ავტონომიურად წარმართვა.
სწავლება-სწავლის მეთოდები	o ლექციები; o დისკუსიები; o პრეზენტაციები;

	o ლაბორატორიული სესიები STATA/R o ქეისების განხილვა; o ბრეინსტორმინგი; o დამოუკიდებელი მუშაობა და სწავლა; o ინდივიდუალური და მუშაობა ჯგუფში; გამოყენებითი საკვლევ პროექტებზე მუშაობა უახლესი ეკონომიკური ლიტერატურის, პუბლიკაციებისა და პრეზენტაციების გაცნობა. გათვალისწინებულია ჰიბრიდული სასწავლო მიდგომების დანერგვა და რამდენიმე სასწავლო კურსის ელექტრონული/შერეული ფორმატით სწავლება.
შეფასების სისტემა	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული (ტრიმესტრული) მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის (ტრიმესტრის) ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის (ტრიმესტრის) განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის (ტრიმესტრის) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა11 – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
დასაქმების სფეროები	ISET-ის სამაგისტრო პროგრამის დასრულებისთანავე კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ აკადემიურ სექტორში, ანალიტიკურ და კვლევით თანამდებობებზე. განვითარებული ანალიტიკური

	უნარები და რაოდენობრივი მეთოდების კარგი ცოდნა კურსდამთავრებულებს კონკურენტუნარიანს ხდის ყველა იმ თანამდებობაზე, რაც დაკავშირებულია ეკონომიკურ ანალიზთან, მოდელირებასა და პროგნოზირებასთან. ესს-ის კურსდამთავრებულები უმეტეს წილად კერძო (36%) და სახელმწიფო (24%) სექტორებში საქმდებიან. ISET-ის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესწავლა ხდება წელიწადში ერთხელ. სკოლას აქვს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზა, სადაც მოცემულია ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების, ორგანიზაციების, დაკავაბული თანამდებობების შესახებ და ასევე მათი საკონტაქტო მონაცემები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის საფასური დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად (წლის განმავლობაში): * საქართველოს მოქალაქეებისთვის - 3000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში; * სამხრეთ კავკასიის რეგიონის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეებისთვის - 2400 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში; * უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის - 4000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში; სწავლის საფასური რეგულირდება 2011 წლის 27 დეკემბრის მთავრობის #2583 განკარგულებით.
(პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	განახლების პროცესშია და საბოლოო ვარიანტი წარმოდგენილი იქნება რეაკრედიტაციის პროცესის შემდგომ ეტაპზე
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	